თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტი
ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ესპანური ფილოლოგია/Spanish Philology

მისანიჭებელი კვალიფიკაცია : ფილოლოგიის ბაკალავრი/ BA in Philology
სპეციალობა: ესპანური ფილოლოგია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი).
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ესპანური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამით **ესპანური ფილოლოგიის** ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო **240 ECTS** კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- **50 ECTS კრედიტი** ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო ე.წ. საფაკულტეტო სასწავლო კურსებს.
- **120 ECTS კრედიტი** განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის (საბაკალავრო პროგრამისათვის).
- **60 ECTS** კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა. დამატებითი სპეციალობის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ, ისე სხვა ფაკულტეტებზე.

დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს, მაგრამ დამატებითი სპეციალობა ძირითად სპეციალობასთან კომბინაციით, აღრმავებს სტუდენტის ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს; და /ან აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს გარკვეული საბაზისო ცოდნა, რომელიც მას, ძირითად სპეციალობასთან ერთად, შრომის ბაზარზე ან განათლების შემდგომი საფეხურისათვის გამოსადეგ დარგობრივ კომპეტენციებს ჩამოუყალიბებს.

დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია 60 კრედიტი გამოიყენოს მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით მისთვის სასურველი საბაკალავრო სასწავლო კურსის შესასწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა და მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე). დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია აგრეთვე გაიღრმავოს უცხო ენის დონე (კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა 40 ECTS კრედიტი);

- **10 ECTS** კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხო ენა).

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება და ძირითადი პროგრამის 170 ECTS კრედიტის (50 +120) შესრულება.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ესპანური ფილოლოგიის** საბაკალავრო ძირითადი პროგრამის **120 ECTS** კრედიტი განაწილებულია სასწავლო და კვლევით კომპონენტს, ანუ საბაკალავრო ნაშრომს, შორის შემდეგნაირად:

სასწავლო კომპონენტს ეთმობა **110 ECTS** კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს (საბაკალავრო ნაშრომს) - **10 ECTS** კრედიტი.

სასწავლო კომპონენტის **110 ECTS** კრედიტიდან **20 ECTS** კრედიტი განკუთვნილია ე.წ. ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსებისათვის, **70 ECTS** კრედიტი ეთმობა ძირითად მაპროფილებელ დისციპლინებს, ხოლო **20 ECTS** კრედიტი - სპეციალობის არჩევით დისციპლინებს.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ესპანური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სპეციალობის დაუფლების უპირველესი და განმსაზღვრელი მიზანია სტუდენტს კომპლექსურად შეასწავლოს ესპანური ენა, ენის თეორია და ესპანური ლიტერატურის ისტორია. პროგრამის მიზანია, ესპანური ფილოლოგიის დარგში ფართო და ზოგადი ცოდნის ფონზე, მოამზადოს იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით აღჭურვილი სპეციალისტი, რაც მას შემდგომში გაუადვილებს დასაქმებასა და საზოგადოების წარმატებულ წევრად ქცევას. გარდა ამისა, საფაკულტეტო სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების საფუძველზე აღნიშნული პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ცოდნა მთელი რიგ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საფუძვლებში; სურვილის შემთხვევაში, შეასწავლოს რომელიმე ევროპულ უცხო ენა სულ მცირე A2 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით, და რომელიმე კლასიკური ან აღმოსავლური ენის საფუძვლები აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის (საკუთარი არჩევანის მიხედვით). ამავდროულად პროგრამა სტუდენტს სთავაზობს ინგლისური ენის შესწავლას საშუალო (B1) ან საშუალოზე მაღალ (B2) დონეზე. აღნიშნული საფაკულტეტო სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების საფუძველზე სტუდენტი იღებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომელსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისების პროცესში.

ამ მიზნების მისაღწევად პროგრამა ემყარება და აგრძელებს საუნივერსიტეტო ტრადიციებს, სადაც ზოგადად ფილოლოგიური დისციპლინების, კერძოდ კი დასავლეთ ევროპის ენების სწავლება, შესწავლა და ზოგადფილოლოგიური კომპეტენციების დაუფლება მნიშვნელოვან დარგად მოიაზრებოდა უნივერსიტეტის დაარსების პირველი დღეებიდანვე.

ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ეფუძნება უცხო ენის, კერძოდ, ესპანური ენის, მისი თეორიისა და ესპანური ლიტერატურის სწავლების ტრადიციას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ გარემოების გათვალისწინებით და პროგრამის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად მასში ჩართული აკადემიური პერსონალი და მასწავლებლები ითვალისწინებენ ამ დარგში სწავლებისა და კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებსა და მსოფლიო სასწავლო და კვლევითი ცენტრების გამოცდილებას, რაც, საბოლოო ჯამში, ამ პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების გარანტიაა. შეიძლება ითქვას, რომ **ესპანური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს მოიცვას დარგის ფართო ცოდნა და ბაკალავრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ამგვარად, ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას - საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ–ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ესპანური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის მიზნები და ორიენტირები სრულად თანხვდება თსუ განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და სტრატეგიულ ხედვას - უზრუნველყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. გარდა ამისა, **ესპანური ფილოლოგიის** პროგრამის განვითარების დინამიკა ცხადყოფს, რომ ეს პროგრამა ვითარდება ერთი მხრივ, დარგის ფუნდამენტური და ინოვაციური მიღწევების გათვალისწინებით, ხოლო მეორე მხრივ, დროის, ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ესპანური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი,

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის **ესპანური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად.

სწავლის შედეგი:
ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამით მომზადებული ბაკალავრი ერუდირებული სპეციალისტია, მიღებული აქვს დარგის შესაბამისი ფართო და ზოგადი განათლება სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში; ასევე მას შეუძლია დარგობრივ მონაცემთა ინტერპრეტირება და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა. ბაკალავრს აქვს კარგი პრაქტიკული მომზადება, გააჩნია დარგობრივი კომპეტენციები და შეუძლია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ასევე მას შეძენილი აქვს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ესპანური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის ერთიანი სწავლის შედეგები შეიძლება შემდეგნაირად აღიწეროს:

ცოდნა-გაცნობიერება:
ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების მასალის ათვისების საფუძველზე **ფილოლოგიის** ბაკალავრს **ესპანური ფილოლოგიის** სპეციალობით გააჩნია ზოგადად, ფილოლოგიისა და კერძოდ, ესპანური ფილოლოგიის დარგობრივი სფეროს ფართო და კომპლექსური ცოდნა, ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; გაცნობიერებული აქვს ესპანური ფილოლოგიის დარგის მოცულობა, იცნობს სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; დაუფლებულია სასპეციალიზაციო ენას (ესპანურ ენას) სულ მცირე, B2 (+) და ინგლისურს მინიმუმ B1 დონეზე, სურვილის შემთხვევაში, ფლობს რომელიმე ევროპულ უცხო ენას სულ მცირე A2 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით, იცის რომელიმე კლასიკური ან აღმოსავლური ენის საფუძვლები აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის (საკუთარი არჩევანის მიხედვით).

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:
ფილოლოგიის ბაკალავრს **ესპანური ფილოლოგიის** სპეციალობით შეუძლია ესპანური ფილოლოგიის დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/ იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა დარგის ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის

გამოყენებით, ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. პროგრამით მიღებული შესაბამისი ფართო ჰუმანიტარული ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს ლინგვისტური, ლიტერატურული და ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი; ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.

ფილოლოგიის ბაკალავრს **ესპანური ფილოლოგიის** სპეციალობით შეუძლია ესპანური ენის პრაქტიკული გამოყენება პროგრამის მიერ დასახული დონის ფარგლებში მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, აქვს საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები, ამ ენებზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ამ ენის ეფექტურად გამოყენება.

ფილოლოგიის ბაკალავრს **ესპანური ფილოლოგიის** სპეციალობით ასევე შეუძლია მის მიერ არჩეული ევროპული ან აღმოსავლური ენის სულ მცირე A2 დონის შესაბამისი კომპეტენციების დადასტურება.

დასკვნის უნარი:

ფილოლოგიის ბაკალავრს **ესპანური ფილოლოგიის** სპეციალობით შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; დასამუშავებლად მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. მინიმალური ზედამხედველობის /ხელმძღვანელობის პირობებში მას ასევე შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. შეუძლია მონაცემთა ინტერპრეტაცია, კრიტიკული შეფასება, სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბება; სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრისათვის სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენება.

კომუნიკაციის უნარი:

ფილოლოგიის ბაკალავრს **ესპანური ფილოლოგიის** სპეციალობით შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა და აკადემიური ან კვლევითი პროექტის დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება. მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება, მათ შორის დარგობრივ სფეროში; ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო /სასწავლო/ პროფესიულ ჯგუფში, შეუძლია პროფესიულ კონტექსტში სხვადასხვა ტიპის დისკუსიებში მონაწილეობა.

ფილოლოგიის ბაკალავრს **ესპანური ფილოლოგიის** სპეციალობით შეუძლია მაპროფილებელ (ესპანურ) ენაზე გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული, ფართო სპექტრის ტექსტების არსებითი შინაარსი, მას ესმის თავისი სპეციალობის სფერო და შეუძლია დარგობრივი დისკუსიის წარმართვა; შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან; შეუძლია მკაფიოდ, თავისუფლად და დეტალურად ისაუბროს სხვადასხვა თემებზე, განმარტოს გარკვეული აქტუალური საკითხისადმი დამოკიდებულება და მიუთითოს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები. შეუძლია დამოუკიდებლად და სწრაფად სხვადასხვა თემებზე დაწერილი საშუალოზე მაღალი და რთული ტექსტების კითხვა და თარგმნა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება; აქვს კარგი ცოდნა ხშირად გამოყენებადი იდიომების, ანდაზებისა და ფრაზეოლოგიური ერთეულებისა, შეუძლია მათი ეფექტური და ადეკვატური გამოყენება. შეუძლია წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავისი აზრები და შეხედულებები სხვადასხვა თემებზე; შეუძლია ანგარიშის, საქმიანი წერილის, მოთხრობისა და სხვადასხვა ტიპის ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

სწავლის უნარი:

ფილოლოგიის ბაკალავრს **ესპანური ფილოლოგიის** სპეციალობით აქვს სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი პასუხისმგებლობისა და კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება, ჯგუფის გამოცდილ და პროფესიონალ წევრებთან/ხელმძღვანელთან კონსულტირება. მას ესმის ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად. კვლევით სამუშაოს ასრულებს წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ. მას აქვს განვითარების - განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა და უნარი.

ღირებულებები:

ფილოლოგიის ბაკალავრს **ესპანური ფილოლოგიის** სპეციალობით კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და კოლეგიალობის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას. მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის შედეგების ჩარჩო:

- **ცოდნა და გაცნობიერება:**

		სასწავლო დისციპლინები:
1.1	ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები, კონცეპტები და მეთოდები, ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკისა და რელიგიის ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკისა და ლოგიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები.	**ფილოსოფიის შესავალი** (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.2	საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები, ფაქტები და მოვლენები მსოფლიოს გეოპოლიტიკურ კონტექსტში.	**საქართველოს ისტორია** (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.3	აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები.	**აკადემიური წერა** (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.4	რომელიმე სხვა (არამაპროფილებელი) სპეციალობის საფუძვლები, ძირითადი თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები (არჩევით).	**საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი**
1.5	ძირითადი ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი ცნებითი აპარატი, დეფინიციები, ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და სემანტიკის ამოსავალი დებულებები; ლიტერატურული მიმდინარეობები, ჟანრები და ტროპის სახეები. ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი ძირითადი კვლევის მეთოდები.	**ენათმეცნიერების შესავალი** (საფაკულტეტო სავალდებულო); **შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში** (საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი)
1.6	ინგლისური ენა საშუალო (B1) ან საშუალოზე მაღალ (B2) დონეზე; არჩევის შემთხვევაში რომელიმე სხვა ევროპული ენა მინიმუმ A2 დონეზე.	**ინგლისური ენა** (საფაკულტეტო სავალდებულო); **რომელიმე სხვა ევროპული ენა** (საფაკულტეტო ევროპული ენა ; არჩევით)
1.7	ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის საბაზისო კურსი (არჩევით)	ერთ–ერთი **კლასიკური** ან **აღმოსავლური ენა** (არჩევით)
1.8	ლიტერატურის თეორიის საფუძვლები;	**ლიტერატურის თეორია**

	ერთ-ერთი ევროპული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპების, ჟანრების, მნიშვნელოვანი ავტორებისა და მათი ნაწარმოებების კონცეპტუალური და სტილისტური მახასიათებლების ცოდნა.	(ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსი); **მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კურსი** (ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსი) (არჩევით)
1.9	ენათმეცნიერების წარმოშობა და განვითარების ეტაპები. ლინგვისტური თეორიები და ჰიპოთეზები, მათი ურთიერთმიმართება. კომპარატივისტული, არეალური და ტიპოლოგიური ენათმეცნიერების საფუძვლები.	**ზოგადი ენათმეცნიერება** (ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსი);
1.10	ზოგადი და საფუძვლიანი ცოდნა ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანული შტოს შესახებ; ენათა ნათესაობის, ისტორიულ–შედარებითი მეთოდის შესახებ. რომანული ენების საერთო ლინგვისტური ნიშნების შესახებ ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და ლექსიკურ დონეებზე. ფილოლოგიის როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა; ფრანგული, ესპანური, იტალიური ენათმეცნიერების, ლიტერტურის ისტორიისა და თეორიის ძირითადი ცნებების ცოდნა, ტექსტის კვლევის აუცილებელი, საბაზისო ინსტრუმენტარიუმის ფლობა.	**შესავალი რომანულ ფილოლოგიაში** (საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი)
1.11	ცოდნა ენის როგორც მკაცრი სისტემური მექანიზმისა, რომლის შემადგენელი ერთეულები ურთიერთდამოკიდებულნი არიან. ცოდნა ესპანური ენის გრამატიკის სისტემის, მისი კატეგორიებისა და ფუნდამეტური თეორიების შესახებ;	**ესპანური ენის სტრუქტურა** (სავალდებულო);
1.12	ცოდნა ესპანური ენის ისტორიული განვითარების დიქრონული ჭრილის შესახებ: ესპანური ენის წარმოშობისა და ისტორიული ევოლუციის ძირითადი ეტაპები, ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური დონის ცვლილებები. ცოდნა რადიკალური ცვლილებების	**ესპანური ენის ისტორია** (სავალდებულო);

	განმაპირობებელი იმ ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების შესახებ, რამაც განაპირობა ესპანური ენის თანამედროვე სახით ჩამოყალიბება;	
1.13	ზოგადთეორიული ცოდნა ესპანური ენის სამეტყველო სტილების და ინტონაციის პარამეტრების შესახებ; სხვადასხვა დონის სტილისტური ხერხებისა და ექსპრესიული საშუალებების შესახებ, ტექსტათან და დისკურსთან მიმართებაში სტილისტური მოვლენების აღქმა–გაანალიზების ცოდნა. ესპანური ენის ფონეტიკური წყობის საფუძვლიანი და სისტემური აღქმა და მისი გამოყენება სალექციო და სამუშაო ჯგუფში დასამუშავებელი მასალის კრიტიკული ანალიზის დროსა და დისკურსის პროცესში.	**ესპანური ენის სტილისტიკა (სავალდებულო)** **ესპანური ენის თეორიული ფონეტიკა (არჩევითი)**
1.14	ცოდნა ესპანური ენის ლექსიკური ერთეულების სპეციფიკური თვისებებისა და მახასიათებლების, ლექსიკურ–ფრაზეოლოგიური ფონდის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ტენდენციების შესახებ; თანამედროვე ესპანური ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემების კანონზომიერების განსაზღვრა და მისი განვითარების ტენდენციების წარმოჩენა; თანამედროვე ესპანური ენის ლექსიკური შემადგენლობის, ლექსიკის სხვადასხვა შრეების ფუნქციონირების, ლინგვისტური მეცნიერების ამ დარგში არსებული მიდგომებისა და შეხედულებების ცოდნა; ცოდნა ლექსიკოგრაფიის რაობის, ლექსიკონების ტიპების და მათში ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ.	**ესპანური ენის ლექსიკოლოგია/ლექსიკოგრაფია (არჩევითი)**
1.15	სპეციალობის მაპროფილებელ ესპანურ ენაში ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი დოკუმენტის "The Common European Framework in its political and educational context" მიხედვით B2 დონის შესაბამისი ცოდნის ფლობა (დამოუკიდებელი მოსაუბრე დარგობრივ სფეროში), რაც გულისხმობს	**ესპანური ენა 1, 2, 3, 4, 5, 6** (სავალდებულო); ***DELE B2 - ესპანური ენის გაღრმავებული კურსი*** (არჩევითი)

	ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) ამ დონის შესაბამისად; ცალკეული ენობრივი ასპექტების დაუფლებას (ლექსიკა, გრამატიკა, მართლწერა); ათვისებული ლექსიკური მარაგის მაქსიმალურად თავისუფლად გამოყენების უნარს სხვადასხვა თემატიკაზე **ესპანურენოვანი** ტექსტების (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული, საგანმანათლებლო) გაცნობა/გაცნობიერებისთვის, ასევე საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას; წერილობით ფორმით აზრის გამოთქმის პროცესში.	*ესპანურენოვანი ტექსტის ანალიზური კითხვა* (არჩევითი) *იბეროამერიკული ესპანურის პრობლემატიკა* (არჩევითი)
1.16	ესპანეთის შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიისა და კულტურის ზოგადი კურსის ცოდნა; ესპანელთა წვლილი მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში; ესპანური ცივილიზაციის საბაზისო ცოდნა; ესპანელი ხალხის ადგილისა და როლის გააზრების უნარი ევროპასა და ზოგადად მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. იბერიის ნახევარ კუნძულის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გაცნობიერება; თანამედროვე ესპანეთში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე წარმოდგენა. ესპანური ენის გავრცელების არეალები და მისი თავისებურებანი. ესპანური ენა იბერიის ნახევარკუნძულზე და მის ფარგლებს გარეთ; ლათინური ამერიკის ესპანური ენა. აფრიკული ელემენტი ესაპნურში. სხვადასხვა რეგიონალიზმები ამერიკის ესპანურ ენაში.	*ესპანური ენა პირენეის ნახევარკუნძულზე და მის ფარგლებს გარეთ* (არჩევითი); **იბეროამერიკული ესპანურის პრობლემატიკა(არჩევითი);** *ესპანეთის ისტორია* (**არჩევითი**); *ესპანური ენის ისტორია* (**სავალდებულო**);
1.17	ესპანური ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპების; ჟანრების, მნიშვნელოვანი ავტორების შემოქმედების, მათი ნაწარმოებების კონცეპტუალური და სტილისტური მახასიათებლების ცოდნა. ლათინურ ამერიკული ლიტერატურის	**ესპანური ლიტერატურის ისტორია 1, 2, 3, 4** (სავალდებულო); **შესავალი ლათინური ამერიკის ლიტერატურაში** (არჩევითი)

	მთავრი მიმდინარეობები და სკოლები. პირველი სამხრეთ ამერიკული ხელნაწერები. ესპანური და სამხრეთ ამერიკული ლიტერატურის საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები.	**მიგელ დე უნამუნო და ესპანური ექსისტენციალიზმი** (არჩევითი)
1.18	თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებზე წარმოდგენა. მხატვრული თარგმანის სპეციფიკაზე წარმოდგენის შექმნა. ესპანურიდან ქართულად და ქართულიდან ესპანურად წერილობითი და ზეპირი თარგმანის სპეციფიკაში გარკვევა, სხვადასხვა სფეროში სათარჯიმნო პრაქტიკისთვის მომზადება; თარგმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება; ტერმინოლოგიური ეკვივალენტებისა და მთარგმნელობითი შესატყვისობების მოძებნის უნარის განვითარება; ზეპირი და წერითი თარგმანის ტექნიკის დაწყებითი უნარების განვითარება; სათარგმნ ენასთან ერთად ქართული ენის ცოდნის სრულყოფა.	**ესპანური ენა 1, 2, 3, 4, 5, 6** (სავალდებულო); **ესპანურიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა** (ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსი); **აკადემიური წერა** (საფაკულტეტო სავალდებულო) **ქართული წერისა და მეტყველების კულტურა(არჩევითი)**

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**

2.1	ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, სწორი დასკვნების და ფილოსოფიური ცნებებით ოპერირება.	**ფილოსოფიის შესავალი** (საფაკულტეტო სავალდებულო)
2.2	ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება /არგუმენტირება, მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა.	**აკადემიური წერა** (საფაკულტეტო სავალდებულო)
2.3	საშუალო ან საშუალოზე მაღალი სირთულის ტექსტის წაკითხვა და შექმნა **ინგლისურ ენაზე.** ერთ–ერთი სხვა ევროპული ენის (არჩევის შემთხვევაში) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის.	**ინგლისური ენა** (საფაკულტეტო სავალდებულო); **რომელიმე სხვა ევროპული ენა** (საფაკულტეტო ევროპული ენა ; არჩევით);
2.4	ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის (არჩევით) ცოდნის გამოყენება	ერთ–ერთი **კლასიკური** ან **აღმოსავლური ენა** (არჩევით)

	აკადემიური მიზნებისთვის.	
2.5	ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და ანალიზი.	**საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი**
2.6	ძირითადი ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების გამოყენება ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) განსახორციელებლად.	**ენათმეცნიერების შესავალი** (საფაკულტეტო სავალდებულო) **ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი** (საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი) **ზოგადი ენათმეცნიერება** (ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსი); **ლიტერატურის თეორია** (ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსი);
2.7	ესპანური ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები. ესპანურ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ენის ეფექტურად გამოყენების უნარი; საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის, ნათლად, სტრუქტურირებულად ჩამოყალიბების, არგუმენტირებისა და განმარტებების გარკვევით გადმოცემის უნარი; ესპანური ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების, მათ შორის ეტიმოლოგიური ლექსიკონების, გამოყენების უნარი.	**ესპანური 1, 2, 3, 4, 5, 6** (სავალდებულო); ***DELE B2 - ესპანური ენის გაღრმავებული კურსი*** (არჩევითი) ***ესპანურენოვანი ტექსტის ანალიზური კითხვა*** (არჩევითი) ***იბეროამერიკული ესპანურის პრობლემატიკა*** (არჩევითი)
2.8	სხვადასხვა ტიპის ტექსტების რედაქტირების, რეფერირების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი.	**ესპანური ენა 1, 2, 3, 4, 5, 6** (სავალდებულო); **ესპანური ენიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა**

	ესპანური ლიტერატურული ტექსტისათვის ლინგვისტური, ლიტერატურათმცოდნეობითი კომენტარების მომზადება; ლიტერატურული ნაწარმოებების განხილვა.	(ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსი); **აკადემიური წერა** (საფაკულტეტო სავალდებულო) **ზოგადი ენათმეცნიერება** (ფილოლოგის კომპეტენციისათვის სავალდებულო) **ქართული წერისა და მეტყველების კულტურა(არჩევითი)** **ესპანური ლიტერატურის ისტორია** (1,2,3, 4) **შესავალი ლათინური ამერიკის ლიტერატურაში** (არჩევითი) **მიგელ დე უნამუნო და ესპანური ექსისტენციალიზმი** (არჩევითი)
2.9	სათარჯიმნო ბიუროების ტიპიური დოკუმენტაციის და საქმიანი ქაღალდების ესპანურიდან ქართულად და პირუკუ თარგმნის უნარი; საქმიანი საუბრების ესპანურიდან ქართულად და პირუკუ სათარჯიმნო პრაქტიკის უნარ-ჩვევები. მხატვრული თარგმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევები.	**ესპანური 1, 2, 3, 4, 5, 6** (სავალდებულო); ***DELE B2 - ესპანური ენის გაღრმავებული კურსი*** (არჩევითი) ***ესპანურენოვანი ტექსტის ანალიზური კითხვა*** (არჩევითი) **ესპანური ენიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა** (ფილოლოგიური კომპეტენციისთვის სავალდებულო კურსი);
2.10	პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი. კონკრეტული, ვიწროდარგობლივი მონაცემების გააზრება როგორც ლინგვისტური, ისე ლიტერატურის თეორიისა და ისტორიულ-რელიგიურ-კულტუროლოგიური მონაცემების კონტექსტში. ლინგვისტური, ლიტერატურული და ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი.	**შესავალი რომანულ ფილოლოგიაში** (ძირითადი); **ესპანური ენა 1, 2, 3, 4, 5, 6** (ძირითადი); **ენათმეცნიერების შესავალი** (საფაკულტეტო სავალდებულო) **ზოგადი ენათმეცნიერება** (არჩევითი) **ესპანური ენის ისტორია** (სავალდებულო); **ესპანური ენის ლექსიკოლოგია** (არჩევითი);

		ესპანური ენის სტილისტიკა (სავალდებულო) **ესპანური ენის თეორიული ფონეტიკა** (არჩევითი); **ესპანური ენის გრამატიკის თეორია** (სავალდებულო); ***ესპანურენოვანი ტექსტის ანალიზური კითხვა*** (არჩევითი) ***იბეროამერიკული ესპანურის პრობლემატიკა*** (არჩევითი) და პროგრამის სხვა არჩევითი დისციპლინები

- **დასკვნის უნარი:**

დარგობლივ სფეროში ანალიტიკური უნარის გამომუშავება. არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; დასამუშავებლად მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი დარგობრივ სფეროში მიღებული მეთოდების გამოყენებით. პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი.

- **კომუნიკაციის უნარი:**

მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის და სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით. ჯგუფური მუშაობის, დისკუსიაში მონაწილეობის, პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები. დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა.
ესპანურ ენაზე პროფესიულ წრეებში ვერბალური და წერითი კომუნიკაციის კულტურა; საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში სპეციალობის ენის (ესპანურის) საკომუნიკაციო ფუნქციით ეფექტურად და მოქნილად გამოყენების უნარი

- **სწავლის უნარი:**

სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. საკუთარ თავზე მუშაობის და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფის უნარი; განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

- **ღირებულებები:**

კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა.
სოციალური და ეთიკური, მორალური პასუხისმგებლობის გამომუშავება; პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა; აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვა; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად **ესპანური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები და სხვ.).

დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას. დისკუსიის მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს.

ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და

ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. როლური და სიტუაციური თამაშები განსაკუთრებით ეფექტურია ენის სწავლების პროცესში და ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი -

- **სწავლების ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- **სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა–განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: სხვადასხვა ტიპის ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

საბაზისო დარგობრივი ცოდნის შეძენისას **ესპანური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას. ამგვარი სტრატეგიისა და დაგეგმვის აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ **ესპანური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა ესპანური ენით მარკირებული პროგრამაა, რომლის ბევრი თეორიული სალექციო და პრაქტიკული კურსი ესპანურ ენაზე და ესპანურენოვან ტექსტზე ორიენტირებულ სწავლებაზეა დაფუძნებული.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელი მუშაობის დროს; დ) გამოცდების მომზადება–ჩაბარებას; ე) სასწავლო–კვლევით ნაშრომზე (საბაკალავრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას; ვ) სასწავლო–კვლევითი ნაშრომის დაცვას; ზ) სხვა სახის სასწავლო საქმიანობას **ესპანური ფილოლოგიის** პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს მაქსიმუმ 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების შესაბამის სილაბუსებში.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთან უკუკავშირს, მათ დროულ და დეტალურ ინფორმირებას შუალედური შეფასების და ფინალური გამოცდის შედეგების შესახებ, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწავლის პროცესში, უკეთ გაიაზროს თავიანთი შეცდომები, სუსტი მხარეები და იზრუნონ თავიანთ პროფესიულ განვითარებაზე.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარინე კობეშავიძე

დასაქმების სფეროები:
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ესპანური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული **ფილოლოგიის ბაკალავრი** ესპანური ფილოლოგიის სპეციალობით მზადდება, როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი ესპანური ფილოლოგიის დარგში სათარჯიმნო, სამუზეუმო, სარედაქტორო, სარეფერენტო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. შრომით ბაზარზე ის შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, ტურისტულ ფირმებში, მთარგმნელობით ბიუროებში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებში, სხვადასხვა კომპანიებში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებულ იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის;

დამატებითი ინფორმაცია:
პროგრამის მიზნების და შედეგების მიღწევაში სტუდენტს ხელს უწყობს გაცვლითი პროგრამები ესპანეთის უნივერსიტეტებში, კონკრეტულად სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაიარონ ერთი ან ორი სემესტრი კადისის უნივერსიტეტში, ან საზაფხულო ენის კურსები მადრიდის კომპლუტენსეს უნივერსიტეტში.

საბაკალავრო განათლება საფუძველს შეუქმნის სტუდენტს სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში სპეციალობის მიხედვით ან აირჩიოს სხვა სპეციალობა, რომელიც უშვებს თავის პროგრამაზე ჰუმანიტარული ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ბაკალავრს.
ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადაა მეორე სემესტრი.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ესპანური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს დამატებითი სპეციალობის არჩევისას რეკომენდაცია ეძლევა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში ყურადღება შეაჩეროს ისტორიის, ქართული ფილოლოგიის, პედაგოგიკის დამატებით პროგრამებზე; ასევე სასურველია სოციალ-პოლიტიკური პროფილის დამატებითი პროგრამების, ეკონომიკის ფაკულტეტიდან კი ტურიზმისა და მასპინძლობის ეტიკეტის დამატებითი პროგრამის აღება. ამ დამატებითი პროგრამების კომბინირება **ესპანური ფილოლოგიის** ძირითად პროგრამასთან უფართოებს სტუდენტს ცოდნის არეალს და აძლევს კურსდამთავრებულს შრომით ბაზარზე დასაქმების მეტ შანსს.
პედაგოგიკის დამატებითი პროგრამის, არჩევის შემთხვევაში სტუდენტს საშუალება ეძლევა მოიპოვოს ესპანური ენის მასწავლებლის მაძიებლის სტატუსი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო 1-წლიან მაძიებლობის პერიოდის და მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მოიპოვებს მასწავლებლობის უფლებას.
ქართული ფილოლოგიის დამატებითი პროგრამის არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეეძლება უკეთ წარმართოს სარედაქციო/საგამომცემლო საქმე.
ჟურნალისტიკის დამატებითი პროგრამის არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეეძლება უკეთ წარმართოს თვის საქმიანობა რადიოსა და ტელევიზიაში.
ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ტურიზმის დამატებითი პროგრამების არჩევის შემთხვევაში სტუდენტი უკეთ წარმართვას პროფესიულ საქმიანობას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, არქივებში, მუზეუმებში, ტურისტულ ბიუროებში.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ: იხ. CV
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ესპანური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები და მკვლევარები, თსუ ენების ცენტრის მასწავლებლები, რომელთაც აქვთ **ესპანური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამისა და კონკრეტული სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის ფართო გამოცდილება. მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი მასწავლებლები უძღვებიან ესპანური ენის პრაქტიკულ მეცადინეობებს. ყველა სასწავლო კურსს უძღვება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.
ასოცირებული პროფესორი მარინე კობეშავიძე,
ასისტენტ პროფესორი ნინო ქავთარაძე
ასისტენტ პროფესორი ნინო ჭრიკიშვილი

მოწვეული მასწავლებელი მერი ტიტვინიძე
მოწვეული პროფესორი სოფიო ფეიქრიშვილი,

ენების ცენტრის მასწავლებელი - 3.
ემერიტუსი-პროფესორი ციური ახვლედიანი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მატერიალურ–ტექნიკურ ბაზა ხორციელდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის და რომანული ფილოლოგიის მიმართულების ბაზაზე (მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზ. N 36, თსუ მეხუთე კორპუსი), რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მეთოდების, უახლესი ქართულენოვანი და ესპანურენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენებით სწავლებას და, შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევას. გარდა ამისა, პროგრამის სტუდენტები ზოგადჰუმანიტარული პროფილის და დამატებითი საბაკალავრო პროგრამების სასწავლო დისციპლინებს, არჩევით სასწავლო კურსებს ეუფლებიან თსუ და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვა სასწავლო კორპუსებშიც.

ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია როგორც თსუ ცენტრალური, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები; ასევე **ესპანური ფილოლოგიის** მიმართულების მცირე თემატური ბიბლიოთეკა და დეპარტამენტის წიგნადი ფონდი; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ესპანური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ–მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.

დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება : ესპანური ფილოლოგია/ Spanish Philology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ECTS კრედიტი (სავალდებულო დისციპლინები - 40 კრედიტი და სპეციალობის არჩევითი საგნები -20 კრედიტი).

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი: დამატებითი პროგრამა ესპანურ ფილოლოგიაში ორიენტირებულია იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს დასაქმებაში და მისცეს მას დასაქმების დამატებითი შესაძლებლობა (მის ძირითად პროგრამასთან ერთად). დამატებითი პროგრამა ესპანურ ფილოლოგიაში მიზნად ისახავს სტუდენტს შესძინოს სავალდებულო დარგობრივი (ზოგადფილოლოგიური) კომპეტენციების საფუძვლები ძირითადი საბაკალავრო პროგრამიდან "ესპანური ფილოლოგია"; შესაბამისად, დამატებითი პროგრამა სტუდენტს აძლევს დარგის ზოგად საფუძვლების ცოდნას და შესძენს როგორც დარგის კომპეტენციებს, ასევე მის პრაქტიკულ და პროფესიულ უნარ-ჩვევების ნაწილს.
ესპანური ფილოლოგიის დამტებითი პროგრამის უპირველესი მიზანია სტუდენტისათვის პრაქტიკული ენობრივი კომპეტენციების და დარგის ფარგლებში არსებითი უნარ-ჩვევების შეძენა. სტუდენტის ცოდნა ესპანურ ენაში უნდა შეესაბამებოდეს ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის ე.წ. "საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს" პარამეტრებს, რაც გულისხმობს ენობრივი კომპეტენციის ზრდას B1/B² დონემდე დამატებითი პროგრამის ფარგლებში;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: წინაპირობის გარეშე

სწავლის შედეგი:

- **ცოდნა და გაცნობიერება:**

სპეციალობის მაპროფილებელ ესპანურ ენაში ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი დოკუმენტის "The Common European Framework in its political and educational context" მიხედვით B2 დონის შესაბამისი ცოდნის ფლობა (დამოუკიდებელი მოსაუბრე დარგობრივ სფეროში), რაც გულისხმობს ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) ამ დონის შესაბამისად; ცალკეული ენობრივი ასპექტების დაუფლებას (ლექსიკა, გრამატიკა, მართლწერა); ათვისებული ლექსიკური მარაგის მაქსიმალურად თავისუფლად გამოყენების უნარს სხვადასხვა	**ესპანური ენა 1, 2, 3, 4, 5 (სავალდებულო)**

თემატიკაზე **ესპანურენოვანი** ტექსტების (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული, საგანმანათლებლო) გაცნობა/გაცნობიერებისთვის, ასევე საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას; წერილობით ფორმით აზრის გამოთქმის პროცესში.	
შუა საუკუნეების პერიოდის ესპანური ლიტერატურის მიმდინარეობები და სკოლები. რეკონკისტის მნიშვნელობა. აღნიშნული ეპოქის მნიშვნელოვანი მწერლების შემოქმედება.	**ესპანური ლიტერატურის ისტორია 1 (სავალდებულო)**
ცოდნა ესპანური ენის ისტორიული განვითარების დიქრონული ჭრილის შესახებ: ესპანური ენის წარმოშობისა და ისტორიული ევოლუციის ძირითადი ეტაპები, ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური დონის ცვლილებები. ცოდნა რადიკალური ცვლილებების განმაპირობებელი იმ ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების შესახებ, რამაც განაპირობა ესპანური ენის თანამედროვე სახით ჩამოყალიბება;	**ესპანური ენის ისტორია** (სავალდებულო);
საკუთარი არჩევანის მიხედვით არჩეული არჩევითი საგნები სტუდენტს მისცემს დამატებით ცოდნას და გამოუმუშავებს დამატებით კომპეტენციებს	

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**

ესპანური ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები. ესპანურ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ენის ეფექტურად გამოყენების უნარი; საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის, ნათლად, სტრუქტურირებულად ჩამოყალიბების, არგუმენტირებისა და განმარტებების	**ესპანური ენა 1, 2, 3, 4, 5**

გარკვევით გადმოცემის უნარი;	
ესპანური ლიტერატურული ტექსტისათვის ლიტერატურათმცოდნეობითი კომენტარების მომზადებისა და ანალიზის უნარი;	**ესპანური ლიტერატურის ისტორია 1**
საკუთარი არჩევანის მიხედვით არჩეული არჩევითი საგნები სტუდენტს გამოუმუშავებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების დამატებით უნარებს	

- **დასკვნის უნარი:**

ესპანური ფილოლოგიის სფეროში არსებული საშუალო სირთულის პრობლემების იდენტიფიკაციის და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მათი გადაჭრის გზების მოძიების უნარი; ანალიზის შედეგად დასკვნის გაკეთების უნარი;

- **კომუნიკაციის უნარი**

ინფორმაციის კონცეპტუალური სახით ჩამოყალიბებისა და გადაცემის უნარი; სწავლისა და კვლევის პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების, ფილოლოგიურ მეცნიერებებში არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენების უნარი. ესპანურ ენაზე პროფესიულ წრეებში ვერბალური და წერითი კომუნიკაციის კულტურა;

- **სწავლის უნარი:**

სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. საკუთარ თავზე მუშაობის და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფის უნარი;

- **ღირებულებები:**

კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა.
სოციალური და ეთიკური, მორალური პასუხისმგებლობის გამომუშავება; პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა; აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვა; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად **ესპანური ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და

სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები და სხვ.).

ესპანური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს მაქსიმუმ 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების შესაბამის სილაბუსებში.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთან უკუკავშირს, მათ დროულ და დეტალურ ინფორმირებას შუალედური შეფასების და ფინალური გამოცდის შედეგების შესახებ, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწავლის პროცესში, უკეთ გაიაზროს თავიანთი შეცდომები, სუსტი მხარეები და იზრუნონ თავიანთ პროფესიულ განვითარებაზე.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარინე კობეშავიძე

დამატებითი ინფორმაცია:
დამატებითი პროგრამის არჩევა შესაძლებელია მაქსიმუმ IV სემესტრიდან.